№ 33
შაბათი 9 თებერვალი 1902 წ.
გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.
„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877-1902

ივერია

№ 33
შაბათი 9 თებერვალი 1902 წ.
რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხეზედ—5 კაპ.
ექვთიმე ხელაძის სტამბის „ტელეფონი" № 838

1 N13
ტფილისი
64

შაბათს, 16 თებერვალს, გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

თ ა ვ ა დ ი ს რ ა ფ ი ე ლ დ ა ვ ი თ ი ს ძ ი ს

ერისთავის

სულის მოსახსენებლად სოფ. ქისტაურს. ასულნი და სიძენი განსვენებულისანი აუწყებენ ამას ნათესავთ, ნაცნობთ და მის პატივის მცემელთ. (3—6.—2)

1 თებერვლიდგან წლის დამლევამდე გაზეთ „ივერია"

ღირს ცხრა მანეთი და ათი შაური (9 მ. და 50 კ.)
ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის" რედაქცია (ნიკოლოოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა)
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ. ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ)
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნი მაღაზიაში.
ოზურგეთში—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება ქუთაისსა და ხონში ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа". ტელეფონი № 227.

ქართული თეატრი.
შაბათს, 9 თებერვალს, 1902 წ.
ქართულის დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება
ქლ. სარ. ალექსი-მესხიშვილის
მონაწილეობით

ახალგაზრდა მსახიობთა საბენეფისოდ

I

ედმონდ კინ

კომედია 4 მოქმედ. დუმასი.

II

არივ-დარია

კომედ. 1 მოქმედ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, ლეჟავა, ნებიერიძე, მღივანი; ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ურუშაძე, იმედაშვილი, მირიანაშვილი, სარჯველაძე, იორდანოვი.

დასაწყისი 8 საათზედ.

ფასები ჩვეულებრივია.

მზადდება „**მეფე ლირი**", „**მაღლა ადმართს ქვესაც**".

ექიმი
ვახტანგ ღამბაშიძე

წამლობს შინაგანს და საბავშვო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 11-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. რეუტის ქუჩა № 24.

იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი

ექიმი

წამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 ს. აქვს შესახვევი მასალა. ავჭალის ქუჩა, № 85.

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე შექიმო ქიმიურ მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ.

ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ როინაშვილისეულ ფოტოგრაფიისთვის, რომელიც ღირს ქმნილია უმაღლეს იმპერატორებრივ ჯილდოსა, მოწვეულია ახალი ოსტატი. შეიძლება შეკვეთა ყოველგვარი ფოტოგრაფიულის სურათისა, რომელიც თავისს დროზე და საუცხოვოდ შესრულებული მზადდება. ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია, ხოლო მოსწავლეთათვის შეღავათიანი. ფოტოგრაფიას, რომელიც ყოველდღე ღია

არის დილის 9 საათიდგან საღამოს 5 საათამდე, მრავლად მოეპოება მუშტართათვის საქართველოსა და კავკასიის შესანიშნავი ადგილებისა, ტიპებისა, მოღვაწეთა და ძეგლთა სურათები. (3—2)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. საოპერაციო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი: 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ყელთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

ს ა ღ ა მ ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგიო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვინერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაურია, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана
Тифлисъ, против. памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ. გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.

ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი. კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი. ნერვებისა და შინაგანი. 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი. დედათა სნეულბანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

სტ. ა. ვოინო. ხირურგია. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი. სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგან და ბავშვებისა. 5—6 საათ.

გ. ს. დავიდოვი—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა. 7—8 საათ.

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:

გ. გ. მაღალაშვილი.—10—12 ს. შინაგან ამადმყოფობათა.

მიწის ძვრის ამბები.

შემახა.

⁂ ნანგრევთა გადათხრას ხელს უშლის ცუდი ტაროსი. საჭმელ-სასმელი და ტანთსაცმელი ზედი-ზედ მოვდის („კავკ.").

⁂ შემახიდგან შემდეგს დაწვრილებით ამბებს იწერებიან, „კასპისა" და „კავკასის" კორესპონდენტები: ქალაქის დამქცევ მიწის ძვრამდის ორჯელ მოგვესმა სუსტი გრიალი, რაც ბევრმა ვერც-კი იგრძნო: პირველი იყო დილის 8 საათზე, მეორე დღის 11 საათზე. მესამედ ზარის დამცემი გრიალი და საშინელი ძვრა მიწისა მოხდა შუადღის 12 საათსა და 50 წამს. მაშინ-კი ყველამ იგრძნო, მაგრამ გვიან-ღა იყო, თუმცა ძვრამ გასტანა ნახევარ საათამდე: ადგა მტვრის კორიანტელი, ჰაერი ჩამობნელდა. ზარდაცემულ ხალხიდგან ზოგს შიშისაგან მუხლები ეკეცებოდა და სახლებში რჩებოდნენ ნანგრევთა მსხვერპლებად, უმეტესი წილი-კი, სახიერება დაკარგულნი ქუჩებსა და მოედნებზე გამოცვივდნენ, უგზოუკვლოდ დარბოდნენ, თავისიანებს უადგილოდ ალაგას ეძებდნენ, ეძახდნენ, ტიროდნენ, ხელებს იმტვრევდნენ, ნაცნობები ერთმანეთს ვეღარ სცნობდნენ... საოცარი, წარმოუდგენელი უბედურება ტრიალებდა შემახელების თავს! ვისაც არ უნახავს ასეთი საშინელება თავისის თვალით, ის ვერ წარმოიდგენს, თუ რა მოხდა შემახაში. კაცთა შორის აურ-ზაურს პირუტყვთაც მისცეს ბანი: ცხენების ჭიხვინს, ძროხების ბღავილს, ძაღლების ყეფას და ქათმების კრიახს ყურთა სმენა ჰქონდათ წაღებული! სწორედ ამავ დროს სახლისახლზე, დუქანი დუქანზე გრიალით ინგრეოდნენ და ნანგრევში მარხავდნენ პატრონებს ცოლით, შვილებით და ავლა-დიდებით...

ახლა არა თუ სახლების, არამედ ქუჩების ნასახიც-კი არა ჩანს იქაც-კი, სადაც ნანგრევები გადათხრილია. მხოლოდ თვით შემახელები ამბობენ, რომ უბედურების წინად აქა თუ იქ ქუჩა იყოო. მიწის ძვრა მოხდა სწორედ იმ დროს, როცა აბანოებში ქალების მორიგი დღე იყო და სავსებით ავსებული იყო ქალაქის თორმეტივე აბანო. აქაურ ქალებისათვის აბანო მარტო ტან-დასაბანი ადგილი-კი არა, კლუბიც არის, აქ ფუტების და სხვ. გარდა მოაქვთ თან სასმელ-საჭმელი და მთელი საათობით გართულნი არიან მასლაათითა და ქეიფით... ამით აიხსნება, რომ კაცებზე უფრო მეტი ქალები დაიღუპნენ. ქალებისა და მათთან მყოფ ბავშვების დაღუპვას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ უმეტესი ნაწილი აბანოებისა მიწაში არის აშენებული, მიწურ სახლებივით, ზემოდგან ბანზე აყრიათ ექვსი ადლის სისქე მიწა, წვრილი ქვისა და აგურების კედლები ტალახით არის ნაშენი და არა კირით. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ჩასავალი კიბეები და კარებები ვიწროებია, და მაშინ აღარ გაიკვირვებთ, რომ ასეთი აბანოები რად გადიქცნენ საცოდავთათვის ნაადრევ სამარეებად... უმთავრესი ყურადღება ჯერ აბანოების ნანგრევთა გადათხრასა აქვს მიქცეული. ერთის აბანოს თხრის დროს აღმოაჩინეს ოთხი ქალი, რომელთაც სიცოცხლის ნიშან-წყალი კიდევ ეტყობოდათ. დამსწრეთა შორის ერთმა კაცმა იცნო თავისი ქალი, რომელსაც გადამეტებულ სიხარულისაგან გული შეუწუხდა. მამა მიჰვარდა შვილს ამოსაყვანად, მაგრამ ამ დროს მიწამ და ქვებმა იგრიალა და ყველანი ერთად, მიმშველებელ მამითურთ ქვეშ მოიტანა...

პირველ დღეებში ნანგრევთა გადათხრას არ ჰყავდა გამოცდილნი ხელმძღვანელნი. თავისს დროზე რომ შავ მუშებს მცოდნე ხელმძღვანელნი ჰყოლოდათ, ბევრს ცოცხლებსავე გადაარჩენდნენ. წარმოიდგინეთ, აქა-იქ მეოთხე დღესაც პოულობდნენ ცოცხლებს, მკვდრების აყროლებულ გვამთა შორის მოქცეულებს. წარმოიდგინეთ იმ უბედურების ვაება ასეთს ყოფაში! თებერვლის ხუთს ნანგრევებიდგან ამოღებული იყო სულ ათასი გვამი. ბევრი შემწეობა მოსდით უბედურებს პურით, ტან-ფეხთ-საცმელით და ფულით, მაგრამ კიდევ მაინც ბევრი აკლიათ, შიმშილი მათ შორის ჯერ კიდევ ჰსუფევს, სიცივე სულს ჰხუთავს.

⁂ შემახელთა სასარგებლოდ „კავკასის" რედაქციამ შეჰკრიბა 1,368 მან., „ნოვოე ობოზრენ." 847 მან. 25 კ.

ახალი ამბავი

⁂ დღეს, 9 თებერვალს, ქართულს თეატრში საინტერესო წარმოდგენაა. ითამაშებენ ქლ. სარ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით დიუმას კომედიას „ედმონდ კინს" და ვოდევილს „არივ-დარია". ეს წარმოდგენა ახალგაზრდა მსახიობთა საბენეფისოდ არის დანიშნული. იმედია, ქართველი საზოგადოება ბლომად დაესწრება დღევანდელ წარმოდგენას და ამით წაახალისებს ახალგაზრდა მსახიობთ.

⁂ ჩვენმა რედაქციამ შემახაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ 15 მანეთი მიიღო ბ-ნის ვ. ი. თოფურიძისაგან.

⁂ შარშან ცხენის რკინის გზის მეთვალყურე კომისიამ მისწერა უსახელო საზოგადოების ცხენის რკინის გზის დირექტორს, რომ ვაგონებში ფანრები გამოეცვალათ უვარგისობის გამო. ორის კვირის ვადა მისცა კომისიამ ამ საქმისათვის და თანაც მისწერა, რომ, თუ დანიშნულს დროს არ გააუმჯობესებდნენ ფანრებს, დღეში თითო თუმანი ჯარიმა გადაჰხდებოდათ. დირექციამ არამცთუ ფანრები გააუმჯობესა, პასუხიც არ მისწერა კომისიას. ამ საქმეზედ გუშინ-წინ ცხენის რკინის გზის მეთვალყურე კომისიამ დაადგინა: გარდაჰხდეს ტრამვაის დირექციას 19 აპრილიდგან 1901 წ. პირველ იანვრამდე 3,190 მანეთი. ამ წლისაც იმ დღემდე, ვიდრე ფანრებს გააუმჯობესებენ.

⁂ გუშინ-წინ ტრამვაის მეთვალყურე კომისიამ ერთი თუმნით დააჯარიმა უსახელო საზოგადოება ცხენის რკინის გზისა მუწუკებიან ცხენის შებმისათვის და უვარგისის ვაგონის ტარებისათვის.

⁂ იმავე კომისიამ დააჯარიმა 5 მანეთით ავჭალის ცხენის რკინის გზის პატრონები—ალიბეგოვი და ყორღანოვი გამხდარ ცხენების შებმისათვის და კომისიის წევრს გრიქუროვს და ქალაქის ექიმს დაავალა გასინჯონ ყორღანოვისა და ალიბეგოვის თავლა და ცხენები.

⁂ უსახელო საზოგადოების ცხენის რკინის გზის კანტროლები ერთობ აწუხებენ თავიანთი კანტროლით ხალხს. ამის გამო მეთვალყურე კომისიამ დაადგინა, თუ შესაძლებლად სცნობს დირექცია შეამციროს კანტროლები.

⁂ დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სახელობაზედ სასკოლო კომისიას დადგენილება ჰქონდა დაეარსებინა ქალაქს 3 კლასიანი სასწავლებელი, რომელშიაც მოწაფენი უნდა მიეღოთ პირველ-დაწყებით სასწავლებლებიდგან. ამაზედ არ დასთანხმდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი და ურჩევდა სკოლა გაეხსნათ სამ-კლასიანი სამის განყოფილებით. გუშინ-წინ სასკოლო კომისიამ დაადგინა დააარსოს ისეთივე სკოლა, როგორიც წინად ჰქონდა გადაწყვეტილი, ე. ი. სამ-კლასიანი. დადგენილება საბჭოს გადასცა კომისიამ განსახილველად.

⁂ კვირას, 10-ს თებერვალს, ტფილისის რკინის გზის სადგურის სცენაზე სახალხო სიფხიზლის კომიტეტის თეატრის სექცია ჰმართავს წარმოდგენას ქართულს ენაზე. წარმოდგენილი იქნება „პარიჟელი ღარიბ-ღატაკნი". პიესა დიდადაც შინაარსიანია, ხოლო ვგონებთ, რომ სახალხო სცენაზე ცოტათი უხერხული უნდა იყოს ხუთ-მოქმედებიან და შვიდ-სურათიან პიესის დადგმა. წარმოდგენა ღამის პირველ საათამდე მაინც გასტანს და მუშა ხალხს არ შეუძლიან ამ დრომდის თეატრში დარჩენა და მერე ქალაქის განაპირა ბნელ და ოღროჩოღრო ქუჩებით თავიანთ ქოხ-მახებში დაბრუნება.

⁂ ტფილისის ზოგიერთა სასწავლებლების მოსწავლეებს განუზრახავთ შემახაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ აღმოუჩინონ შეძლების და-გვარად შემწეობა, რასაც ეხლავე შესდგომიან. ამავე საქმისათვის ეპარქიალური საქალებო სასწავლებლის შეგირდებს უკვე შეუგროვებიათ ერთმანეთში ფული და თავიანთ უფროსისათვის გადაუციათ, რომელიც სხვებისაგან შემოწირულს ფულსაც მიუმატებს და დანიშნულებისამებრ გადასცემს.

⁂ შემახაში მიწის ძვრის ამბავმა ყველა პროვინციებამდე მიაღწია და სრული თანაგრძნობა გამოიწვია. ამ აზრით უკვე შეუდგნენ სოფლებში ფულის შეგროვებას, მაგალითად, ცხინვალის ხეობაზე და სხ.

⁂ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „ჯეჯილის" მე-II ნომერი შემდეგის შინაარსით: I. ირემი და კუ—ალ. მირიანაშვილისა, II. დათვი და მონადირე. III. ბატები—ლექსი დუტუ მეგრელისა. IV. ბაყაყი და ვირთაგვა—კლდიასი. V. მელიას თავ-გადასავალი, ზღაპარი (გაგრძელება)—ალ. ნათაძისა. VI. კატისა და არწივის ბრძოლა. VII. ქარქვეტა (ლეგენდა)—ქართველი ოსებში. VIII. ფაეტონი (ოვიდიუსიდგან)—ა. ყუმისთაველისა. IX დედი-ჯან, მოთხრობა. (გაგრძელება)—ელ. წერეთლისა X. კრავი (კრილოვის იგავ-არაკებიდგან)—აკაკისა. XI. მზე და მისი მნიშვნელობა დედამიწისათვის—ი. გომართელისა. XII. ნიკოლოოზ ვასილის-ძე გოგოლი—ა. მითაიშვილსა. XIII. ვინ დააარსა ქალაქი ტფილისი და რად დაერქვა „თბილისი"—ვასო მთვარელიშვილისა. XIV წვრილმანი: საჩუქრის მისაღები კითხვა, გამოცანები, ანდაზა, აკროსტიხი, სიტყვების ამოცანა, შარადა, ამოცანა და რებუსი.

მოსასპობი გადასახადი

(ჩვენის ქალაქის თვით-მმართველობის საყურადღებოდ)

ერთი უსამართლო გარდასახადი აქვს შემოღებული ქალაქს და, ვგონებთ, ეს გადასახადი საჭიროა, რაც შეიძლება მალე მოისპოს. მით უმეტეს, რომ მისი გადახდევინება რიგიანად ვერ მოუწყვია დღემდე. ქალაქის ეს ის გადასახადია, რომლის მოუწესრიგებლობამ იმდენი ლაპარაკი გამოიწვია ამას წინად სასამართლოში, როცა გამგეობის წინანდელ წევრთ ასამართლებდნენ. საქმე ის არის, რომ ქალაქი ახდევინებს ვაჭრობისათვის კვირაობით ორ მანეთს თვეში ყველას, ვისაც-კი სულ მცირე ადგილი უჭირავს იარმუკაზედ, თუნდ სამი ოთხ-კუთხი არშინი. თუ ამაზედ მეტი ადგილი დაუჭერია, მაშინ ერთი ორად უნდა გადაიხადოს. უნდა გადაიხადოს იმ შემთხვევაშიაც, მივა თუ არა მეორე ან მესამე და მეოთხე კვირას, თუ ავადმყოფობისა, თუ უამინდობისა და სხვა მიზეზისა გამო. ეს გადასახადი ერთი ორად უნდა გადაიხადოს მაშინაც, როცა დიდი ბედნიერი დღეებია: შობა-ახალწელიწადს, ნათლიღებას, აღდგომას. ამ გადამხდელთა შორის ბევრი ისეთი ხელოსანია, რომელიც ქალაქის განაპირად სცხოვრობს საცოდავ ქოხ-მახებში: შავსოფელში, ნავთლუღში, ნაძალადევში, ვერის აგურხანებთან, მთაწმინდისა და სოლოლაკის კლდეთა-შორის. მუშაობს ამისთანა ხელოსანი მთელს კვირას ვალითა და ვახშით აღებულის მასალითა. კვირა დღეს მოაქვს თვისი ნაკეთები და ჰყიდის ისეთ ფასად, რომ ძლივს მასალის ფასს იღებს. თუ ორიოდე გროში დარჩათ და მეორე კვირამდე ცოლ-შვილი იოლად გამოიყვანა, კიდევ კარგი. თუ არა და, ქალაქს-კი მაინც უნდა გადაუხადოს თავისი, ხოლო თვითონ ხელ-ცარიელი დაბრუნდეს ცოლ-შვილში.

ეს კიდევ არაფერი. გადასახადს ახდევინებენ არა თუ მარტო იმას, ვისაც სტოლი უდგია და ოთხიოდე წყვილი ჩექმა და ბაშმაკი უწყვია, არამედ იმასაც, ვისაც იარმუკიდგან სადღაც შორს, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ორი ან სამი ტახტი „კუშეტკა" დაუდგამს და ელის საცოდავად მუშტარსა.

ჩვენის ფიქრით, ეს მეტის-მეტია. ამ გადასახადს უდიერობის ხასიათი ამჩნევია და ქალაქის თვით-მმართველობას არ შეეფერება ასეთის გადასახადის მოკრება. შეიძლება ქალაქმა გამოართვას ფული იმისთანა ვაჭარს ან ხელოს

სანს, რომელსაც კეთილ-მოწყობილი დუქანი და სახელოსნო აქვს, არ სჯერდება ვაჭრობის ექვს დღეს და უნდა კვირაობითაც ივაჭროს. მაგრამ გადახდევინება თვეში ორის მანათისა, და ისიც წინდაწინვე, ისეთ ხელოსანთათვის, რომელნიც ქალაქის განაპირად სცხოვრობენ, არავითარი დუქანი და სახელოსნო არა აქვთ, მუშაობენ და ხელოსნობენ თავიანთ სახლში, სახლში-კი არა, მიწურსა და გომურში, ეს მეტის-მეტი უსამართლობაა.

თვით-მმართველობა მოვალეა თვით იზრუნოს ამისთანა ხალხისათვის და, პირ-იქით, ლუკმას აცლის პირიდან. განა, რა დახლი უნდა დაისვას ქალაქმა იმ ფულით, რომელსაც ასეთ ღარიბ-ღატაკ ხელოსნების გადასახადისაგან შეაგროვებს? ვგონებთ, დიდი არაფერი. და აი, ამ ორის გროშისთვის ქალაქის აგენტები ტყავს აძრობენ ღარიბ ხელოსანს ხალხს.

ჩიტი ბდღვნად არა ჰღირდა, დევნა მეტი იყოვო, სწორედ ამაზედ ითქმის.

წერილი ქუთაისიდგან.

ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის ბედიბალზე დამოკიდებული ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლა რომ ნივთიერად ძლიერ დაქვეითებულია,—ეს კაი ხანია ცნობილია. ამ სკოლის მზრუნველებს მოჰსვლიათ აზრი დაავადებულ წყლულზე მალამოს დადებისა. ამ გვარ მალამოდ კი უცვნიათ ამ სკოლის მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების დაარსება. აზრი საზოგადოების დაარსებისა სხვებთან ერთად აღუძრავს ამ სკოლის ახლანდელ ინსპექტორს ი. ოცხელს და წარსულ წელს უკვე შეუმუშავებიათ ნორმალურ წესდების შეთანხმებით მომავალ საზოგადოების წესდება, რომელიც აქაურმა გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა.

3 თებერვალს ამ წესდების დამტკიცება უკვე ეუწყა საურთიერთო ბანკის დარბაზში თავმოყრილ ქუთაისის საზოგადოებას. კრების თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ განუმარტა დამსწრეთ სათავად-აზნაურო სკოლის შეგირდების ახლანდელი უმწეო მდგომარეობა. ჩვენის შვილების, სთქვა მან, მომეტებული ნაწილი მეტად გაჭირვებულ ვითარებაშია: ბევრს მათგანს სასმელ-საჭმელი, ტანთ-საცმელი, წიგნები და სწავლის გადასახდელი ფული არა აქვს. სცხოვრობენ ისეთ ბინებზე და ისეთ ადამიანებში, სადაც მოზარდ ბავშვების დაყენება სრულიად არ შეიძლება. ამიტომ ბევრი მათგანი სრულიად ირყვნება, ხასიათით ფუჭდება, ჯანით უძლურდება, სკოლას თავს ანებებს და ბოლოს ცხოვრებაში ავკაცობას მისდევს. აი, ამ საზოგადოების აზრი არის ამგვარ არა-ნორმალურ ცხოვრებას ააცდინოს სათავად-აზნაურო სკოლის შეგირდები და აღმოუჩინოს მათ ნივთიერი და ზნეობრივი დახმარება.

საზოგადოების დანიშნულების ამგვარად განმარტების შემდეგ, თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ამ მომავალ საზოგადოებას გამგეობა უნდა ამოურჩიოთო და დამსწრეთ ამოირჩიეს ხმის უმეტესობით თავმჯდომარეთ კნ. ელენე წულუკიძისა და წევრებად: ეკატერინე ნიკოლაძე, მელანია გველესიანისა და გიორგი ქორქაშვილი (სამხედრო ექიმი) ამათ კანდიდატებად: ელენე ხელთუფლიშვილი და დავით წულუკიძე. სარევიზიო კომისიის წევრებად: ონისიმე სვანიძე, ივანე ჰურადოვი და ვასილ პეტრიაშვილი.

დამსწრეთაგან 70-დე ჩაეწერა საზოგადოების წევრად. წევრნი განიყოფებიან სამ ჯგუფად: 1) საპატიო, ერთბაშად 100 მ. ან მეტის შემწირველნი, 2) ნამდვილნი, არა ნაკლებ სამის მანეთის შემომტანნი წლიურად და 3) წევრნი-თანამგრძნობნი, თითო მანეთის შემომტანნი. მხნე მეთაურთა არჩევის შემდეგ საზოგადოება იმ იმედით დაიშალა, რომ ამ საქმეს ჩვეულებრივი ქუთათურ საქმეების ბედი არ ეწევა, მკვდარ-ცოცხალი არ იდოდიალებს. ჩვენც ვუსურვებთ ამ სიმპატიურს საქმეს ადორძინებას და ვინატრებთ, რომ საზოგადოების მოქმედებამ მოსე მწერლებისა და მკლავძე-დროიძეთა რიცხვი ოდნავ მაინც შეამციროს ჩვენს ცხოვრებაში და საკეთილო გზისაკენ მიმართოს თავად-აზნაურთა შვილების ძალ-ღონე!..

4 თებერვლის საბჭოს კრებაზე ორიოდე საკითხი იყო საინტერესო...

მეორე საკითხი იყო ნაფიც დამფასებლების და აუქციონისტების ხელ-ახალი ამორჩევა. ძველმა ვაჭრებმა ამ თანამდებობაზე უარი განაცხადეს: ზოგმა, დრო არა გვაქვსო, მოიმიზეზა და ზოგმაც იმიტომ, რომ ვითომ მათს შრომას არავინ აფასებდეს, მიუხედავად იმისა, რომ 10—12 წელიწადი ვასრულებთ ამ თანამდებობასაო. საქმე ახლების ამორჩევაზე მიდგა, მაგრამ აქ კიდევ უფრო უარზედ დადგნენ ახლად წამოყენებული კანდიდატები. „დრო არ მაქვს, ბატონო, იმდენი საკუთარი საქმეები მაქვს, რომ სრულიად მოცალეობა არა მაქვს ამ საქმეს ხელი მოვკიდო, სხვა უფრო თავისუფალი კაცი მონახეთ, ბატონო", და სხვა მისთანა სიტყვებით იცდენდნენ თავიდგან ქალაქის საქმეების ხელის მოკიდებას. მარტო ვაჭარნი, ეს საქმის კაცნი, არ უარობენ ამგვარ საპასუხისმგებლო თანამდებობის მიღებას. ამასვე სჩადიან ინტელიგენციის წარმომადგენლებიც. უსასყიდლო დავალებას ბევრი მათგანი სათოფეზე არ ეკარება. მაშ, რა გასაკვირია, რომ ქალაქის საქმეები ტაატით მიდიოდეს?! უბრალო, სანიტარული მეთვალყურეობა რა არის, ამასაც-კი ჭირივით გაურბიან ქალაქის კეთილდღეობისათვის ვითომ მზრუნველნი. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც შავის ჭირის მოლოდინში ვიყავით ქუთათურები. ქალაქის „მამებმა" ამაზე ცნობის მიღებისათანავე გაჰყვეს მთელი ქალაქი 14 სასანიტარო ნაწილად და თითოს სამ-სამი მეთვალყურე მიუჩინეს ექიმების მეთაურობით, მაგრამ კრება ერთია და ორ-ორი, სამ-სამი თხოვნა მოდის ამგვარ მეთვალყურეებისა: „მე დრო არა მაქვს და გთხოვთ განმათავისუფლოთ სასანიტარო მზრუნველობისაგანაო". ამნაირად დღემდე მხოლოდ ერთის ნაწილის (ურიების უბნის) სანიტარები ასრულებდნენ პირნათლად თავიანთს მოვალეობას, მაგრამ, როგორც ვიცით, ამათაც უბრალოდ ჩაუარა შრომამ, რადგან ამ ქუთაისის „კლოიკას" გასასუფთავებლად ქალაქის გამგეობამ ვერავითარი ჯეროვანი ღონისძიება ვერ მიიღო. მაგრამ ეს საკითხი ქუთაისისათვის მეტად საჭირბოროტოა და ოდესმე კიდევ დავუბრუნდებით.

ისო.

დაბა და სოფელი

სოფ. ფარცხანაყანევი. ხუთს თებერვალს შესდგა წლიური ჩვეულებრივი (მეორე) კრება ფარცხანაყანევის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობის წევრთა. თითონ ფარცხანაყანევის სოფელში ითვლება რვა ასზე მეტი კომლი; ამათგან ოცამდის სასულიერო წოდებისანი არიან და ერთი აზნაური, სხვები—გლეხნი,—ამხანაგობას-კი ჰყავს ჯერ ასზე ცოტა მეტი წევრი. მაგრამ უკანასკნელის წლის განმავლობაში ამხანაგობას გაორკეცებია როგორც წევრთა რიცხვი, ისე საალებმიცემო თანხა. დღეს ამხანაგობა რვა ას თუმნამდის (8,050) ფულს ატრიალებს. ამ ფულიდგან ნახევარი საწევრო თანხაა, ნახევარიც მობარებული ისევ წევრთაგან საანგარიშო წელს ამხანაგობას აქვს ხუთას ათი მანეთი წმინდა მოგება. მცირე ნაწილი ამ ფულისა (156 მანეთი) დივიდენდათ გადიდვა (12⁰/₀) (ამავე სარგებლით ასესხებდა თითონ ამხანაგობაც); ამოდენივე მობარებული ფულის სარგებლად; 136 მანეთი სათადარიგო თანხად; 50 მანეთი—რკინის კასსის ფასის გასანაღდებლად; 7 მანეთი კომიტეტის პეტერბურგელ განყოფილებისათვის და 10 მანეთი ბიბლიოთეკისათვის,—გაზეთის შესაძენად. ათი მანეთის გადადება სასიამოვნოდ დაურჩა ამხანაგობას, რადგან ამოდენა სოფელს ერთი გაზეთიც-კი არ მოსდიოდა ამდენს ხანს.

მობარებულ ფულზე ამხანაგობა იხდის წლიურს 7—8 პროცენტს. გასესხება-კი 10⁰/₀-ათ გახადა, ნაცვლად 12⁰/₀-ისა. კრებამ მიანდო გამგეობას ათას თუმნამდის სესხის შოვნა ამხანაგობისათვის. კრებამ აირჩია კავშირის წესდების შესამუშავებლად და დასამტკიცებლად გასაგზავნად სამი წევრი ამხანაგობისა: დეკ. იოს. ქეიშვილი, მღვ. გიორ. ფხაკაძე და ქს. თევდორაძე.

ფარცხანაყანევს ერთ-კლასიანი სასწავლებელი აქვს (1896 წლიდგან) ორის განყოფილებით და ორის მასწავლებლით. ამ სოფელში მთავრობისაგან ნება-დართულია ბაზრობის გამართვა ყოველ სამშაბათობით. ბაზრობიდგან შემოსავალი 260 მანეთი სკოლას ხმარდება. სასკოლო სახლი ორას თუმნამდის დაუჯდა სოფელს. მაგრამ მოსწავლეთა გონების გახსნისათვის (გარდა გაკვეთილების მიცემისა) და მასწავლებელთა უზრუნველ-ყოფისათვის, რომ უსულო მაშინებად არ გადიქცნენ და ყრმათ განვითარების ხალისი არ დაუკარგონ, საუბედუროდ, ბევრი არა კეთდება-რა ჯერ ჩვენში. ფარცხანაყანევში აფთიაქიც არის დღეს.

სოფელი მისდევს მებაღეობას, აქაური ბაღი გააქვთ ბათუმისკენ, ტფილისს და სხვაგან. ეს სოფელი აბრეშუმისა და ბამბის ქვეყანაა. აქ არსებობს 1899 წლიდგან მეაბრეშუმეთა ამხანაგობის განყოფილება. სოფელს აქვს შვიდი ეკკლესია. ამათგან ერთი (მუხიანის სადგურის მახლობლად) 12 ათას მანეთად დაუჯდა სოფელს. მეორე შენდება ახლა 15 ათას მანეთად. სხვები ხისაა. მღვდელთა შორის მარტო ერთია ტფილისის სემინარიაში სწავლა-დამთავრებული.

სოფლელი.

ნარკვევი.

30 იანვარს მოსკოვში ლ. ვიაზემსკის წაუკითხავს ლექცია „აღზრდა ინგლისში". გაზეთი „რუსსკია ვედ."-ი გადმოგვცემს ლექციის მოკლე შინაარსს:

„დღეს ინგლისში ბავშვი თავის საჭიროებათა დაკმაყოფილების მხრივ იმ გვარივე სრულის უფლების პატრონია, როგორც მოზრდილი ადამიანი. დადგა თითქოს „ბავშვების მეფობა", რომელსაც საფუძვლად უდევს მშობლების მოქალაქობრივი მოვალეობა შვილების წინაშე. ამასთანავე შვილებისა და დედ-მამის ურთიერთობა ისევ ძველებურია. ინგლისელი ბავშვები სცხოვრობენ დიდებიდგან განცალკევებით, განსაკუთრებულის რეჟიმით. ბავშვებს აქვთ თავისი საკუთარი სადგომი. მაძღარი ჭამა დილით, ბანაობა ყოველ დღე, წმინდა და გრილი ჰაერი, სხეულის მუდმივი ვარჯიშობა—ხელს უწყობს ბავშვის აგებულობის გამაგრებას. 7-9 წლის ინგლისელს ბავშვს თავი სწორედ უჭირავს, აქვს ფართო გულ-მკერდი, მხიარული შეხედულობა, თავისუფალი მიხვრა-მოხვრა. ფიზიკურს აღზრდასთან შეერთებულია სულიერი აღზრდაც, რომელსაც საგნად აქვს გაუძლიეროს ბავშვს ენერგია, თავის შემაგრების უნარი და განუმტკიცოს ხასიათი. ინგლისურს აღზრდაში გაძევებულია ყოველივე რაც ხელს უწყობს მეტის მგრძნობელობის და ოცნებობის განვითარებას; მაგ. მუსიკის სწავლების დროს არჩევენ ისეთს პიესებს, რომელსაც გამამხნევებელი ხასიათი აქვს. ინგლისური აღზრდა დამყარებულია იმ პრინციპზე, რომ ხასიათი ადამიანისა იჭედება ჩვეულებათაგან; უნდა ვისარგებლოთ ბავშვის სუსტი ბუნებით და მივაჩვიოთ იგი თავის თავის ბატონობას. თვით-ანალიზს ინგლისელნი სთვლიან მავნებელ საქმედ. კარგი თვისება და ზნე უნდა გაჩნდეს იმ დრომდე, ვიდრე დაბადებოდეს თვით-ცნობიერება. ნება, ვარჯიშობა და დაკვირვება იწყება ძალიან ადრე. ბავშვს აწყებინებენ სწავლებას 3 წლიდგან, ხოლო ეს სწავლება ხუთ წლამდის თამაშობის მზგავსად სწარმოებს. ხუთის წლიდგან ყველა ბავშვი დადის საბავშვო ბაღში, სადაც სწავლება მრავალ-ფეროვანია და გრძელდება ცოტას ხანს. 7—8 წლიდგან-კი იწყება უფრო ბეჯითი მეცადინეობა. საყურადღებოა, რომ ინგლისის საბავშვო მწერლობაში არ მოიპოვება იმდენი ზღაპარი და ზნეობრივი მოთხრობა, როგორც სხვა ქვეყნებისაში; ბავშვებისათვის იბეჭდება იუმორისტული მოთხრობებიც.

—

გაზეთი „სევ. კრაი" გვიხატავს არა სასურველს სურათს რუსეთის ქალაქების სამკურნალო-სანიტარულ მდგომარეობისას. 161 ქალაქის შესახებ შეკრებილ ცნობებიდგან სჩანს, რომ ქალაქის ბიუჯეტიდგან

4 ქალაქში — პეტერბურგში, მოსკოვში, ოდესაში და რიგაში იხარჯება სამკურნალო სასანიტარო ნაწილისათვის 15—20 პროცენტი, შვიდს ქალაქში—10—15⁰/₀, 28 ქალაქში—5—10⁰/₀, 90 ქალაქში 1—5⁰/₀; ათს ქალაქში სრულიად არაფერი არ იხარჯება.

სულ სხვას ვხედავთ ერობაში. აქ საექიმო და სახალხო განათლების ხარჯი შეადგენს უმთავრესს ნაწილს. სამკურნალო დახმარება ძალიან მისაწდომია ხალხისათვის და ბევრგან უფასოცაა. ძალიან ვითარდება სასანიტარო საქმე.

რა არის ამისი მიზეზი? რითი აიხსნება ეს? მცხოვრებთა ერობაში ქალაქებთან შედარებით უფრო ვრცელ მონაწილეობით მხოლოდ... კაპიტალისტების ჯგუფის მაგიერ ყველა წრის მოწვევა ქალაქის თვით-მმართველობაში, აი, ეს დააყენებს ქალაქის მეურნეობას კარგად და განავითარებს სამკურნალო-სანიტარულს საქმესაც, საჭიროა დაინტერესებულ კაცების თვით-მმართველობაში გარევა, რომლებისათვის პირდაპირ საჭიროებას შეადგენს ქალაქის კეთილდღეობა.

რუსეთი

გუშინწინდელ კერძო დეპეშიდგან შევიტყეთ, რომ ლ. ტოლსტოის უკეთესობა დაეტყო და კიდევ იმედი აქვთ მისის მორჩენისა. ტოლსტოი ავად გამხდარა იანვრის ოცს.

— რუსეთის ზოგიერთს გუბერნიაში მოუსავლობისა გამო პურისა დიდი სიძვირეა და შიმშილობა.

— ჩერნიგოვის გუბერნიაში სათანადო მთავრობამ გამოსცა „სავალდებულო წესები" მშვიდობიანობის დასაცველად.

— ტულის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზე მოსაწვევ უწყებაში, სხვათა შორის, აღნიშნული ყოფილა შემდეგი განსახილველი საგანი: მოხსენება „ტულის გუბერნიის აზნაურის ვასილ ანდრიას ძის ჟუკოვსკის ხსოვნის პატივისცემის შესახებ".

— პავლოვსკის სექტანტებს, რომელთა საქმეც დანიშნული იყო გასარჩევად ქ. სუმში, ჰბრალდებათ ღვთის გმობა, წმიდანთა შეურაცხყოფა, (მკრეხელობა) ამბოხება და მთავრობის წინააღმდეგობა (16 სექ. 1901 წ.), რისაც მოხსენებულია სასჯელთა დებულების 210, 269 და 271 მუხ. ბრალდებულთა რიცხვი 68-ია ქალი და კაცი, ახალგაზდა და მოხუცი. საქმის განხილვამდის ოთხი ბრალდებული

ფელეტონი

„უკვდავი"

(ლეგენდა)

....მარიამმა რა იცოდა, რომ იმ უზომო ბედნიერებას, რომელიც მისს გულს პირველმა სიყვარულმა ჩააწვეთა, ასეთი საშინელი შედეგი მოჰყვებოდა?!.

იგი დარწმუნებული იყო, რომ ცხოვრება აუმღვრელი, სარკესავით მორაკრაკე ზღვაა, რომლის ანკარა ზედაპირზედ სიყვარული დაუშრეტელ მადლ-მოსილებით არის აღბეჭდილიო.

მაგრამ, მოულოდნელად, ამ ნეტარების მფენელმა ზღვამ ფრთონა დაიწყო, ქაფი მოიგდო და თავისს ზედაპირზედ კვალი წინანდელის კმაყოფილებისა სავსებით წაშალა.

მარიამი ცხოვრებამ გარიყა, რადგანაც მან გაბედა და, თავ-დავიწყების დროს, სიყვარულის საკურთხეველს გუნდრუკი უკმია. მასთან ერთად აგრეთვე დაწყევლილ და შეჩვენებულ იქმნა მარიამის შეცოდების ნაყოფი,—ეს ბუნებისაგან კანონიერად შობილი, მაგრამ ხალხისაგან უკანონოდ ცნობილი პაწია არსება.

საბრალო დედას ისე არა აწუხებდა-რა, როგორც ბავშვის უსახელობა; არავინ იკისრა მისი მონათვლა და სახელის დარქმევა. მარიამს შრომისა არ ეშინოდა, იმედი ჰქონდა შვილს გამოზრდიდა კიდეც, მაგრამ საშინელი იყო ის ფიქრი, რომ მომავალში მისი შვილი მამას მოიკითხავდა და მარიამი იძულებული გახდებოდა თვისი ცოდო და სირცხვილი გაემჟღავნებინა. ვის არ მიჰმართა ხვეწნითა და მუდარებით?! გარნა ყველა ულმობელი აღმოჩნდა, ყველამ უპასუხა—უკანონოდ შობილს სახელს ვერ მივცემთო...

მარიამი რომ ამისთანა მწუხარება-ვაებაში იყო, ერთხელ უცნაური სიზმარი ნახა:

ძილში მას მოელანდა რაღაც ღრუბლის მზგავსი რამ გამოსახულება, რამაც ადამიანის ენით შემდეგი უთხრა: „ნუ ჰქმუნვარობ, ადამიანო! ნათელის ცხებაზედ შენს შვილს ღმერთი უარს არ ეტყვის! ხვალ განთიადისას მიდი „დიდების სერთან" და იქ ჰპოვებ, რასაც დაეძებ."

მარიამს გულის-ძგერით გამოეღვიძა და, რა ძილს გამოერკვა, დარწმუნდა, რომ ეს ზმანება ღვთიური სასწაულთ-მოქმედება იყო. იგი ერთ წამსაც არ დაფიქრებულა იმის შესახებ, რომ ეს სიზმარი, შეიძლება, დღიურ სიცხადისაგან სასომიხდილის ადამიანის ძილში ჩაყოლილ ოცნების ნაყოფი ყოფილიყო. მარიამის ღვთის-მოსავობით აღსავსე რწმენა იდუმალის ხმით მას ყურში ჩასჩურჩულებდა, რომ ღმერთი თავისს გაჩენილს უმწეოდ არ დასტოვებდა და აჰა, კიდეც სრულდება მისი იმედი—თვით შემომქმედი უჩვენებს მას გზას ხსნისას.

თვით ის ადგილი, რომელიც მას განგებამ მიუთითა, იმის თავდები იყო, რომ ამ საქმეში უზენაესის მადლით მოსილი ხელი ტრიალებდა... „დიდების სერი" ხალხის წარმოდგენას წმიდა ალაგად მიეჩნია. ძველ დროთაგან გადმოცემით ამ სერზედ ვიღაც წმიდანს მშვენიერი ტაძარი აეგო და იგი ტაძარი ღვთის-მოსავ ბერ-მონაზონთა სავანედ გადაქცეულიყო. ოდესღაც იმ არე-მარეს მტერი შემოესეოდა და ქართველობას ცეცხლითა და მახვილით აღგვას თურმე უპირებდა. და ასეც უნდა ყოფილიყო, რომ მტრის ჯარს ამ „სერთან" მოულოდნელად თავს არ დასხმოდნენ მონასტრის ბერ-მონაზონნი, რომელნიც ცალ-ხელში ჯვარითა და მეორეში—ხმლით წინა-წარუძღვნენ შეშინებულ ქართველთა ლაშქარს, მტერს ზურგი აქცევინეს და მუსრი თურმე გაავლეს. ამიერიდგან ამ ადგილს „დიდების სერი" დაერქვა და იქაურმა—დიდმა თუ პატარამ,—ყველამ იცოდა ლეგენდათ გადმონაცემი ძველი ამბავი.

მარიამსაც ჰქონდა იგი გაგონილი და ამიტომაც სწამდა, რომ იმ ადგილს მას სამაცდუროდ არაფერი დაემართებოდა.

იგი მოუთმენლად მოელოდა დანიშნულ დროს, რომ „დიდების სერთან" მისულიყო, სადაც მას, როგორც გული უთხრობდა, სულიერი კმაყოფილება უნდა ეპოვნა.

მამალი უკვე პირველად ნაყივლი იყო, როცა მარიამმა კარები გამოიხურა და მკერდზედ მიკრულის ბალღით გზას გაუდგა. ბალღს ეძინა და ნაზად ფშვინავდა. ეს სათუთი ფშვინვა ბედკრულის არსებისა მარიამის გამჭრიახობას რაღაც ძალ-ღონეს ჰმატებდა; იგი ჰგრძნობდა, რომ მარტო არ იყო და ამის განცდა ქალს ამხნევებდა.

მარიამმა მძინარე სოფელი ისე განვლო, რომ არც ერთხელ ძაღლსაც-კი არ დაუყეფნია; გავიდა შარა გზაზედ, მერე მინდვრად გადაუხვია და ბოლოს ბილიკით ტყეს შეეფარა.

ტყის გულჩახვეულმა დაპურულობამ მარიამი შეაკრთო, მაგრამ გონზედ მალე მოვიდა და, რადგანაც თვისის ბედ-იღბლის გამგედ ღმერთი მიაჩნდა, ტყე-ტყე უშიშრად მიდიოდა.

როგორც სოფელს, ტყესაც ეძინა; არაფრის ჩამი-ჩუმი არ იყო; ყველაფერს,—ფოთოლსაც და მწერს, ხეს, თუ ნადირს ენა გაეკავებინათ და დუმილში იყვნენ შთანთქმულნი.

. . .მარიამს დიდ-ხანს არ მოუხდა ტყე-ტყე სვლა; მალე მარცხნივ დაუხვია და ხელის გულივით გადაშლილ ტრიალ ველზედ გავიდა.

ტყეს ჩამოეცალა თუ არა, მარიამი სინათლის მორევში შეცურდა... ზე აიხედა და მისი თვალები მთვარის მშვენიერებამ დაატყვევა. არას დროს მას ეს ღამის არშიყი მნათობი ისე ლამაზი და სხივ-მომფინარე არა სჩვენებია, თვით იმ წამებშიც-კი, როდესაც იგი და მისი სატრფო, სიყვარულის ნექტრით მთვრალნი, მთვარის შუქ-მფენ ტალღებში დასცურავდნენ ხოლმე.

აი, თურმე რას დაედუმებინა ბუნება!

მარიამმა თვალი გააყოლა იმ მხარეს, საიდაც მთვარე სხივების კონას უხვად აფენდა და გაშტერებული დარჩა. მისს წინ კარგა მანძილზედ ამართულიყო პაწია, ირგვლივ ქედ-დაშვებული სერი, რომელსაც მთვარის შუქი შარავანდედის მზგავსად ნათელს აფენდა.

სწორედ ეს სერი იყო ის „აღთქმული ქვეყანა", სადაც მის პაწიას ნათელი უნდა ეღო.

მარიამი ამ სერისაკენ სწრაფად გაემართა და, რაც უფრო მოკლდებოდა მანძილი მისსა და სერს შუა, მარიამის არსებაში მღელვარება თან-და-თან მატულობდა. იგი გრძნობდა, რომ გულში რაღაც უჩქროლავდა და ეს ჩქროლვა წუხილს როდი უშლიდა, თითქოს ბალზამსავით ეცხებოდა მთელს არსებას.

გრძნეულებით აღსავსე გამომეტყველება "სერისა" მარიამს არ-კი აშინებდა,—არამედ სასოებით ავსებდა და თვალებზედ მომდგარი უნებური ცრემლი გადმოსანთხევად მზად იყო.

ტუჩები თავის-თავად, გონების დაუკითხავად, მხურვალე ლოცვას წარმოსთქვამდნენ უზენაესის მიმართ და ეს ოდნავი ჩურჩული საერთო დუმილში სამადლობელ ჰიმნსავით იფანტებოდა.

და თვალი რომ მიგვევლ-მოგვევლოთ იმ არემარესთვის, გვგონებოდათ, რომ მარტო მარიამი როდი იყო ამ გვარის გრძნობით აღფრთოვანებული, რომ მთლად ბუნება, რაშიაც-კი იგი გამოიხატებოდა, სალოცავად იდგა და თვისი მუდმივი მოძრაობა-ხმიანობა შთაენთქა ამ ლოცვაში, რომელიც უხმოდ ისე მიეფინებოდა ზეცისაკენ, როგორადაც სამსხვერპლოდ აღკმეული გუნდრუკი...

თვით ტაძრის ნანგრევებიც-კი წინანდებურად გულ-ჩათხრობილნი როდი გამოიყურებოდნენ, რადგანაც მთვარე მათ უსწორ-მასწორო ნაპირებს ოქროთი ავარაყებდა.

მარიამი სარწმუნოებრივის ექსტაზით გამსჭვალული წმიდა ადგილს მიუახლოვდა და, ტაძრის ნანგრევებს რა დაუპირდაპირდა, ფრთების მოძრაობის მძლავრი ხმაურობა მოესმა და უეცრად ნანგრევების ზემოდ თვალების შემმუსვრელი სინათლე გაჩაღდა.

მარიამს ეგონა, ეს არის ცა გაიხსნაო და ის იყო, მისნი ბაგენი ვედრებით უნდა ამეტყველებულიყვნენ, მაგრამ სიტყვები ტუჩებზედვე შეუშრა, რადგანაც სინათლე დაბლა-დაბლა წამოვიდა და მიწაზედ დაეშო. ახლა მარიამმა გაარჩია ჯგუფი თვალწარმტაც ფერიათა, რომელთა აგებულების ჰაეროვნებას ერთი-ორად აძლიერებდა მათი ნაზი, ლეჩაქსავით სუბუქი და სუმბულივით მრავალფეროვანი სამოსავი.

ფერიებს მკერდზედ ესვენათ ისეთის მშვენებით აღბეჭდილი არსება, რომლის წარმოდგენას ზეარსთა ძალით მოსილი ოცნება თუ შესძლებდა. ამ გრძნობა-გონების დამატყვევებელ მშვენიერებას-კი გრძნეულობის იერით ჰმოსავდა ვარსკვლავებისაგან ნაქსოვი პერანგი ფერიათა მეფასი.

მარიამი ისე გააშტერა ამ ბრწყინვალე სანახაობამ, რომ შიშის ზარი არც-კი აღძვრია იმის გამო, თუ რა თილისმები ხდებოდა მის წინაშე. იგი ჯერ გონს არ იყო მოსული, რომ ცხენების ფეხის თქარა-თქური მოისმა და მარიამის პირდაპირ ნანგრევებიდგან გამოემართა ორ-თვლიანი ოქროს კამაროსანი ეტლი, რომელშიაც ება წყვილი თოვლსავით სპეტა-

თავდებობით გათავისუფლებულ იქმნა, სხვები დატუსაღებულნი იყვნენ. მათ შორის ერთი გლეხი, მოსე ტოდოსიენკო, რომელიც თავისს თავს მოციქულს უწოდებდა, მოთავსებული იყო ცალკე. საქმის გარჩევაზე მოწვეულია 68 მოწმე, მათში ორი მღვდელია, ერთი ბოქაული, ერთი ურიადნიკი და სხვები გლეხნი არიან. დამცველი თერთმეტია. საქმის განხილვას დაესწრნენ იუსტიციის სამინისტროს, შინაგან სამინისტროს, სინოდისა და ჟანდარმთა კორპუსის წარმომადგენელნი. ბრალდებულთა სასამართლოში მოყვანას ურიცხვი ხალხი დაესწრო. სექტანტები ჩაფიქრებულნი მოდიოდნენ, ყველას ღრმა სულიერის ცხოვრების ბეჭედი აზის; უმრავლესობა 40—60 წლისაა, არიან სულ ახალგაზრდებიც...

სექტანტების საქმე გაირჩა ხალხის დაუსწრებლად და სასამართლოს განაჩენს გავიგებთ მხოლოდ მის საჯაროდ გამოქვეყნების შემდეგ.

უცხოეთი

ინგლისი. ლივერპულელ ლიბერალ-იმპერიალისტებს ლორდი როზბერი მიუწვევიათ ახალ საპოლიტიკო სიტყვის წარმოსათქმელად. იმ დარბაზში, სადაც მიტინგი მოხდება, ოთხი ათასი ადგილი უკვე გაუყიდნიათ. პირველად თითო ადგილი ოთხ-ოთხ მანეთად გაუყიდნიათ, მაგრამ ამათ თავიანთი ადგილები სხვებისათვის 30—40 მანეთად მიუყიდნიათ.

ინგლისის გაზეთები ძალიან ბევრს სწერენ ინდოეთის შიმშილობაზედ. რაც დრო და ხანი გადის, ინდოელთა გაჭირვება ორკეცდება. მთელ მაზრების მცხოვრებთ საჭმელი არ მოეპოვებათ თურმე. რაჯიუპაკის ოლქში შიმშილობას ხელი შეუწყო ვირთაგვების გამრავლებამ, რომელთაც, რაც რამ ოლქში ხორბალი მოიპოვებოდა, მთლად გაუნადგურებიათ. პურის ფასს საშინლად აუწევია. მარტო ამ ოლქში მთავრობის ხარჯით 300,000 კაცი იკვებება.

—

გაზეთი „Soleil“-ი ოსმალთა ლიტერატურის შესახებ საყურადღებო ცნობებს გადმოგვცემს. ოსმალთა საუკეთესო ავტორი ამ რამდენისამე წლის წინად გარდაცვალებული ახმედ-მიდატია. ამ რომანისტს საკუთარი თითქმის არაფერი მოეპოვება. რაც-კი დასწერა, თითქმის ყველაფერი პონსონ დიუ-ტერრაილის, ემილ რიშბურგისა და კსავიე დე-მონტეპენის თხზულებიდგან არის გადმოკეთებული და ოსმალთა ზნე-ხასიათთან შეფარდებული. ცოცხალ მწერალთა შორის უფრო განთქმულია უჯდაბ-ბეი. ეს რომანისტი დიდი თაყვანის მცემელია ფლობერისა, რაიცა იმის თხზულებებს აშკარად ეტყობა. უჯდაბ-ბეის მეგობარი თევფიკ-ფიკრეტი ოსმალთა საუკეთესო პოეტად ითვლება. იგიც ძალიან ჰბაძავს ფრანგ პოეტებს. ტამბოლში ორი მწერალი ქალიცა სცხოვრობს. ერთი ფატიმ-ალიე-ჰანუმი, ჟორჟ-ზანდსა ჰბაძავს, მეორე—ნიგარ-ხანუმ-ბენ-ოსმანი, მიუსსეს, ლამარტინსა და ბოდლერს.

⁂

ამას წინად ერთ უდიდეს გემ „მაჯესტიკზედ“ ვირთაგვების ჟლეტას შესდგომიან. ერთი წელიწადია, რაც ეს გემი დასცურავს ზღვაში, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, 1,020 ვირთაგვა მაინც უპოვნიათ გემის ტრიუმსა და კაიუტებში. სტატისტიკოსნი ამ ამბის გაგებისათანავე შესდგომიან იმის გამოანგარიშებას, თუ რა ხარჯს აყენებენ გემის პატრონთ. მათის აზრით თითო თაგვი დღეში ორი კაპეიკის სანოვაგეს ანადგურებს, ასე რომ ზემოხსენებულ გემს 1,020 ვირთაგვა დღე-დამეში 38 მანეთის ზარალს აძლევდა.

⁂

ამას წინად ჯვარი დაიწერეს ავსტრიის იმპერატორის შვილის-შვილმა პრინცესამ ელისაბედმა და პრინცმა ოტტო ვინდიშგრეტცმა. აი, რა მზითევი მიუცია პრინცესასთვის იმპერატორს:

8 მილიონ ფრანკის მოძრავი ქონება,
1.250,000 ფრანკი ყოველ წლიური პენსია,
კოშკი და მასთან ერთად 20,000 დღიური მიწა,
სასახლე ვენაში,
ბრილიანტები, გვირგვინი, ბეჭდები, საყურეები და სხვა, სულ 5 მილიონ ფრანკისა.

⁂

უმდიდრეს კაცად მთელს ამერიკაში დღეს ჯ. როკფელერი ითვლება. ნიუ-იორკელ გაზეთების სიტყვით, ამ კაცს 600.000,000 მანეთის შეძლება აქვს, რაც წელიწადში 25 მილიონ მანეთს წმინდა შემოსავალს იძლევა. ამას გარდა, როკფელერის 70,000 საქონლის ფურგუნი და 3,500 ვაგონი აქვს. როკფელერის დაწესებულებაში 27,500 კაცი მსახურებს.

თეატრი

ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის ბენეფისი.

ხუთშაბათს, 7 თებერვალს, ქართულმა დრამატიულმა დასმა ბ-ნ ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის საბენეფისოდ წარმოადგინა ორი პიესა—„უპატიოსნონი“, 3 მოქმედ. დრამა როვეტტისა და „კრეჩინსკის ქორწინება“, კომედია 3 მოქმედებად სუხოვო-კობილინისა.

პირველი პიესა მეტად სუსტი ნაწარმოები აღმოჩნდა თავისის დედა-აზრის მხრივ. ავტორი სცდილობს დაუმტკიცოს საზოგადოებას, რომ „უპატიოსნონი არ იბადებიან“, არამედ გარემოება ჰქმნის თვით პატიოსანთაც-კი უპატიოსნოთა. ეს ზოგიერთს განსაკუთრებულს შემთხვევაში იქნება სამართლიანი აზრიც, საზოგადო საზომად და საწყაოდ, რასაკვირველია, ასაკვიატებელი არ იყო და არც იმ შემთხვევას ამართლებდა, რომელსაც ავტორმა აჰკიდა. ახალგაზრდა ცოლი, გაუჭირვებლად და უზრუნველად ცხოვრების სურვილით გატაცებული, ჰღალატობს თავისს ქმარს, რომელიც, რა-კი შეიტყობს ამ ამბავს ცოლის საყვარელის მოკვლის შემდეგ, კვლავ განაგრძობს მდიდრულად ცხოვრებას ახლა ნაპარევის ფულებით, რომ ქვეყანას არ გააგებინოს,—აქამდე ჩემის ცოლის საყვარლის ფულებით ვცხოვრობდით მდიდრულადაო. ეს ცრუ თავ-მოყვარეობით გამოწვეული სურვილი ქურდსა ჰხდის და აი, ამისთანა ქურდის შესახებ ჰბრძანებს ავტორი—„უპატიოსნონი არ იბადებიანო“. ამ დედა-აზრის სისუსტეს უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ უზომო ტირილი და ქვითინი პიესის გმირებისა (ქ-ნი ანასტ. აბაშიძე და ვლ. ალექსი-მესხიშვილი) არ იწვევს საზოგადოების თანაგრძნობას, თუმცა პიესა ჩვენმა არტისტებმა საუცხოვოდ ჩაატარეს.

ამ საღამოს პირველადა ვნახეთ ქ-ნი ანასტ. აბაშიძე თავისს არა შესაფერს დრამატიულს როლში, რამაც ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ ნიჭი ყველგან იჩენს თავს, რა გარემოებაშიაც უნდა ჩააყენოთ, თუმცა ამ ახალგაზრდა მსახიობ-ქალს, როდესაც წივის, მეტად უსიამოვნო, მძაფრი ხმა აქვს და ვურჩევთ ერიდოს ამ ხმის უზომოდ ხმარებას. მაინც ვურჩევთ დრამატიულს როლებს ერიდოს.

მეორე პიესამ—„კრეჩინსკის ქორწინებამ“ დაატკბო მაყურებელნი, განსაკუთრებით იმის გამო, რომ შეუდარებელი რასპლუევი იყო ბ-ნი ვლადიმერ ალექსი მესხიშვილი. ამ გვარად, ორივე პიესა ჩინებულად იყო წარმოდგენილი, რასაც შეძლებისამებრ ხელს უწყობდნენ დანარჩენი არტისტებიც.

დანარჩენ არტისტთა შორის უნდა აღვნიშნოთ ბ-ნი გამყრელიძე, რომელიც მართლა რომ კარგი მოხუცი იყო და ისე დინჯად ეჭირა თავი სცენაზედ, ისეთის ღირსებით, რომ სასიამოვნო სანახავი იყო.

სხვათა შორის, უნდა შევნიშნოთ, რომ თარგმანი ორივე პიესისა საძაგელი იყო. სწორედ მწუხარებით ევსება გული ადამიანს, როდესაც ჩვენის სცენის ისეთის არტისტებისაგან როგორნიც არიან ვ. აბაშიძე, ვ. ალექსი-მესხიშვილი, გაბუნია და სხვანი, ისმის ასეთი სიტყვები: „წავალ იქ, სადაც თვალები წამიყვანენ“, „ვეჩერი“, „ტანცაობა“, „ვიზიტნი კარტოჩკები“ და სხ. ნეტა, ვიცოდეთ, კომიტეტი საზოგადოებისა რას აკეთებს!...

წარმოდგენას დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო, მაგრამ ერთი იმდენი უკანვე გაბრუნდა უადგილობისა გამო.

მანოელიძე

წერილი რედაქციის მიმართ.

„ივერიის“ № 17 1902 წ. იყო მოთავსებული წერილი ს. სვირიდგან, რომ სვირის მამასახლისს ბ-ნს ჯულელს საზოგადოება ჯამაგირზედ უარს ეუბნებაო. მართალია, ამორჩევის დროს ჯულელისა მამასახლისად ჯამაგირზედ ლაპარაკი არ ყოფილა და საზოგადოებასაც უსათუოდ ეუცხოვა ახლა ჯამაგირის მოთხოვა მამასახლისისაგან, მით უმეტეს რომ სვირის საზოგადოებას, რაც მამასახლისობა შემოვიდა ჩვენში მამასახლისისათვის ჯამაგირი არ მიუცია და აქამდის არც განათლებული მამასახლისი ჰყოლიათ. დღეს, თავიანთ საბედნიეროდ, განათლებული მამასახლისი ჰყავთ, რომელმაც ამ მოკლე ხანში თავის კეთილ მოღვაწეობით დაუმტკიცა საზოგადოებას, რა დიდი განსხვავებაა იმასა და ძველ მამასახლისებს შორის, და ხალხიც ძალიან კმაყოფილი იყო მისი უქრთამო, სწორის და ჩქარის სამართლით. ჩემს ს. სვირში ყოფნის დროს პირველი ხანი იყო მისის მამასახლისობისა და შემდეგ თუ არ მოუმატა საზოგადოებისთვის ზრუნვას, არა დაუკლია-რა. საზოგადოება თვითონ კარგად ჰგრძნობს, რომ ბ-ნ ჯულელის მამასახლისობის დროს უფრო მოსვენებულნი არიან ქურდობისაგან და სხვა ბოროტმოქმედ ხალხისაგან და აგრეთვე იმ უზომო ხარჯისაგან, რომელიც უწინ აუარებელი იყო.

ჩემის აზრით, საზოგადოების უარი ჯამაგირზედ უნდა იყოს დამყარებული უმეტეს ნაწილად იმაზედ, რომ ბოლოს უჯამაგიროდ აღარავინ გვემსახურება და მამასახლისის ჯამაგირი სავალდებულო გახდებაო, რაც ჩვენთვის სახელმწიფო გადასახადთან ერთად ძნელი იქნებოდა, ჩვენს სიღარიბეს გამოიწვევსო.

მაგრამ სვირელები არც ისე ღარიბნი არიან, რომ წელიწადში თითო კომლს ათის შაურის გამოღება არ შეეძლოს ჯამაგირად მამასახლისისათვის, რითაც შესდგებოდა უკანასკნელი 400 მანეთამდე და ეყოლებოდათ მართლა მამა საზოგადოებისა. იმაზედაც დარწმუნებული ვარ, რომ მესამედს საზოგადოებისას სურს გამოიღოს ჯამაგირად თითო მანეთამდე, მაგრამ განაჩენი ერთობისა არ დადგინდება, ვინაიდგან $^{2}/_{3}$ საზოგადოებისა უნდა თანახმა იყოს.

მეორე მიზეზად ვთვლი ორიოდე რუსულ სიტყვის მცოდნე ცრუ ინტელიგენტსაც, რომლებიც უსათუოდ საზოგადოებას აშფოთებენ მით, რომ, თუ ჩვენ ამოგვირჩევთ მამასახლისად, რამდენი ხანიც გნებავთ, ვემსახურებით საზოგადოებას უჯამაგიროდაო. ცხადია, ჯამაგირი რადად უნდა იმისთანა ცრუ ინტელიგენტს, როდესაც ის უკანასკნელს 1500 მანეთამდე გამორჩეს მექრთამეობით და სხვა რამ დავიდარაბით სვირის საზოგადოებასა. ესე ყოველივე საზოგადოებამ კარგად უწყის და მაგრამ, რატომ არ უნდათ გამოიღონ [illegible] ძალისაგან? ამასთანავე თვითეული გლეხთაგანი იმასაც ჰფიქრობს, იქნება ამ სამ წელიწადში ერთი საქმეც არ შემემთხვეს, სადაც მამასახლისის დახმარება დამჭირდება, და ტყუილად მანეთ ნახევარი რად უნდა გადავიხადოთ. უჯამაგიროდ მათ განათლებული მამასახლისად არ დაუდგებათ, თუ ქრთამი არ უნდა აიღოს და მაშინ უფრო მეტს გადაიხდის თვითეული მათგანი, რომ რამე საქმე შეემთხვეს და მამასახლისი დასჭირდეს.

სვირში ყოფნის დროს ბევრი გლეხთაგანი მეუბნებოდა, რომ ვინაიდგან ჩვენს საზოგადოებას უსათუოდ ვექილი სჭირდება საზოგადო საქმეების გასაძღოლად და მამასახლისი ჩვენი ვექილიაო, ამისათვის მივცემთ ჯამაგირს, როგორც ვექილს და არა როგორც მამასახლისსაო. ეხლა რაღა დაემართათ, მიეცათ ჯამაგირი, როგორც ვექილისათვის, სულ ერთი არ არის, თუ-კი საზოგადოება ფულს მისცემს მამასახლისს და ამ ფულს ჯამაგირს დაარქმევს, თუ სხვა რამ [illegible] ის არ იციან, რომ ბ-ნი ჯულელი, თუ ცუდი გამოდგება, შეუძლიანთ ჯამაგირი მოუსპონ, ან და გამოსცვალონ?

ჩემის აზრით, რა-კი საზოგადოებამ ვერა ჩააგონა-რა, ბ-ნმა მაზრის უფროსმა და აგრეთვე იქაურმა ინტელიგენტებმა, რომელთა რიცხვი 30-ზედ არა ნაკლებია (ზოგი მღვდელია, ზოგი მასწავლებელია, ზოგნიც რკინის გზის სამსახურში არიან) და ამ ინტელიგენტებს ჰსურთ რამე კეთილი საზოგადოებისათვის (თუმცა მამასახლისი ძვირად დასჭირდება ინტელიგენტს ჩვენში), იმ შემთხვევაში სჯობია მაგალითი ვუჩვენოთ საზოგადოებას და ჩვენვე მივცეთ ჯამაგირი მამასახლისს და მით დავუმტკიცოთ საზოგადოებას, რომ პატიოსან განათლებულ მამასახლისისათვის, რომელიც საზოგადოებისთვის იღვწის, ჩვენ არა ვზოგავთ ჩვენს წვლილს და, შეძლებისა და-გვარად, ჯამაგირს ვუნიშნავთ, რომ (ღმერთმა ნუ ქნას) საზოგადოებამ უკან არ დაიხიოს და განათლებულ მამასახლისის შემდეგ მამასახლისად გაუნათლებელი არ ამოირჩიოს უწინდებურად.

ეს რომ ასე არ მოხდეს, ამას თვით ბ-ნი ჯულელი უნდა ეცადოს და იმედიცა გვაქვს, რომ მისის მამასახლისობით ყოველთვის კმაყოფილნი იქნებიან და მეორედაც იმასვე ამოირჩევენ. თუ ჩვენ, ინტელიგენტნი, დავუნიშნავთ ბ-ნს ჯულელს ჯამაგირს, შეიძლება მაშინ რამდენსამე გლეხსაც მიეღო მონაწილეობა და ყოველ წლივ წრე ჯამაგირის გადამხდელებისა უფრო გადიდდებოდა. არა მგონია, რომ თვითეულ ინტელიგენტს ხუთის მანეთის გადახდა წელიწადში ძალიან გაუჭირდებოდეს (უმეტესად მღვდლებს) და მე ჩემის მხრივ დიდის სიამოვნებით გამოვგზავნიდი ყოველ წლივ თითო თუმანს მამასახლისის ჯამაგირად, მხოლოდ კი განათლებული, პატიოსანი და მოუსყიდველი მამასახლისი, როგორც ბ-ნი ჯულელია, ჰყოლოდა სოფელს და სამართალი გლეხებს უფულოდ ეძლეოდეთ. ამაზედ ადვილად შეუძლიანთ მოილაპარაკონ სვირის ინტელიგენტებმა, რომელნიც ს. სვირში იკრიბებიან თვეში ერთხელ, თანახმად სვირის სამეურნეო საზოგადოების წესდებისა.

გრ. დ. კაკაური.

დეპეშა

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

7 თებერვალი

პეტერბურგი. 7 თებერვალს აკურთხეს ეკკლესია და საპროფესიონალო სკოლა, გამართული ღარიბ და ავადმყოფ ბავშვთა მზრუნველ საზოგადოებასთან დასახიჩრებულ და დამბლად დაცემულ ბავშვთათვის. სკოლის აზრად ისა აქვს, რომ ამ ბავშვებს რაიმე ხელობა შეასწავლოს.

ვოლოგდა. 4 თებერვალს, საღამოს 6 საათზედ, კადნიკოვის მაზრის სოფელ პეტრიაევში ქუხილი და ელვა იყო. ეკკლესია დაზიანდა.

ჯი ბედაური; ამ ბედაურების ოქრო-ჯავარით მოჭედილი ლაგმები ეჭირათ დიბა-ჯუბაში გამოწყობილ მონა-მოსამსახურეთ, რომელნიც ეტლს წინ მოუძღოდნენ. ეტლი ფერიათა გვერდით გაჩერდა. ეტლის ოქროთი და თვალ-მარგალიტით ნაქსოვ ბალიშებზედ გადასვენებული იყო ვინმე ჭაბუკი, შემკული ბრწყინვალე ტანისამოსით, რომელიც მთლად მორწყული იყო ლალ-იაგუნდ-ალმას-ფირუზით და მრავალგვარ ცეცხლივით ელვარებდა.

ის იყო, ეტლი გაჩერდა და ბედაურებმა ფრუტუნით და ფაფარ-აშლილ კისრების მშვიდობით გრეხით ტოტის ცემა იწყეს, რომ ტაძრის ნანგრევებიდგან გამოკრთა მმოძრავი შუქი, რომელიც მარიამისაკენ წამოვიდა. ეს თვალმჭრელი სხივი ცეცხლივით ჰაერში იგზნებოდა და თანაც წინ იძვროდა; როცა ფერიათ და ეტლს დაუმხარდამხარდა, ცეცხლმა ელვა-ზევით აიწია და კამარასავით შეკრული მრავალფეროვნად თავს დაადგა ადამიანის გამოსახულებას, რომელიც სინათლის აწევის შემდეგ სივრცეში გამოიხატა. ეს იყო კაცი, რომელშიაც სიჭაბუკე და სიბერე ერთმანეთში გადახლართულნი იყვნენ და მთელი მისი არსება ისეთის იერით შემოსილი, რომ ვერ გაარჩევდით, სად თავდებოდა პირველი და სად იწყებოდა მეორე. სახე თუ ხანსა და ცხოვრების ტალღებს ნაოჭ-ნაოჭად დაეღარათ, სამაგიეროდ, მისის მცხრალ თვალებიდგან გამონაკრთობი სხივნართი შუქი გონებით ჭაბუკობისა საამოდ აელვარებდა ამ სპეტაკ [illegible] სახეს და გეგონებოდათ, რომ ეს სულიერი ცეცხლი მუდმივი მწრთობი იყო ამ სახისა. მისი გრძელი, განიერი და სადა სამოსელი რაღაც სანდომიანად შემოჰხვეოდა ამ კაცის მაღალს და ოდნავ გამხდარს ტანს, თითქოს სიყვარულით ზედ ადნებაო მისს სხეულს. ჭაღარა-ნარევ ოქროსფეროვან გრძელთმიან თავს დაფნის გვირგვინი უმშვენებდა და გრძნეულობა ამა შვენებისა იმით გამოითქმოდა, რომ თავი და გვირგვინი ერთს განუყოფელს არსებას შეადგენდნენ, ასე რომ ძნელი წარმოსადგენი იყო ეს თავი უამგვირგვინოდ და ეს გვირგვინი-კი უამთავოდ.

ისე ანაზდეულად მოხდა ყველა ეს მოვლენა, რომ მარიამი გონს ვერ მოსულიყო და გრძნობა-გონება ამ ჯადოსნურ სანახაობით ტყვევნილი ჰქონდა. რამდენს ხანს გაგრძელდებოდა ასეთი გარინდება მარიამისა, ძნელი გამოსაცნობი იყო, მაგრამ იგი უეცრად გამოარკვია ტკბილ მუსიკობით აღსავსე ხმამ ფერიათა მეფისა, რომელმაც მარიამს მიჰმართა:

— ტანჯულო დედავ! ნუ გეშინის და ნუ ეძლევი განცვიფრებასა! აქ საკვირველი არა არის-რა... ჩვენ ვასრულებთ უზენაესის განგებას, მისაგან ვართ გამოგზავნილი. აი, ხომ ჰხედავ ჩემს ვინაობას... ადამიანთათვის ბედნიერების მინიჭებაში მეც წილი მაქვს და, თუ გსურს შენის ნაშობისათვის ზეციური ბედნიერება—მოვედ ჩემთან, მე მივირქმევ მას და ზედ დავანათლებ იმ უმაღლესს ნიჭს, რომელსაც ხორციელი მშვენიერება ჰქვიან; ამ ნიჭის წყალობით იგი ცხოვრებაში მიიღებს უდიდესს და უტკბილესს კმაყოფილებათა, რაც-კი ადამის შთამომავალს ამ სოფლად ბედნიერადა ჰხდის!.. გრძნეულის შვენებით გასხივოსნებული იგი სანეტარო იქმნება არამც თუ თავისიანთა შორის, არამედ თვით ბუნებისათვისაც-კი, რომელიც მას თავისს სულსა და გულს წინ გადაუშლის. მზე მას შეჰნატრებს ცხოველ-მყოფელობას, მთვარე-კი ნაზის სხივთა-კრთომით მოწიწებით თვალების ელვარებას დაესესხება და ვარსკვლავნი მოციმციმენი, მძივად ასხმულნი, მისს ბაღრს ყელს საკინძეთ გარს შემოეფინებიან... გამძვინვარებული სტიქიონი, მისის ხილვით მოჯადოვებული, ფრთონას შესწყვეტს და გააფთრებული ნადირის საზარელი ღმუილი ალერსად გარდაიქმნება. და ამ საერთო ძლევა-მოსილობით იგი ჰპოვებს ისეთს ღვთაებრივ კმაყოფილებას, რომელსაც ჯერედ ხორც-შესხმული ადამიანი არ ჰღირსებია... მე გავათავე, მეტის დაპირება არ შემიძლიან, ახლა სხვამ გითხრას, რიგი მათია...

დაათავა ფერიათა მეფემ და სახეზედ მომჯადოებელმა ღიმილმა გადაურბინა. მარიამს ასე ეგონა სასუფეველის კარები გაიხსნაო და ის იყო, ფეხთა-ქვეშ უნდა ჩაჰვარდნოდა ამ ღიმილის პატრონს, მიეტანა მასთან თავისი შვილი, რომ კვლავ სხვა უცნობმა ხმამ შეაჩერა:

— ვინცა ვარ მე, ჩემი სამკაული გეტყვის და თუ შენ ადამიანთა შორის გიცხოვრნია, მიჰხვდები, რომ ყველა წინანდელმა ღმერთებმა თავიანთი სკიპტრა და სამფლობელო მე დამითმეს!... მე ვარ ფარგალი, რომლის გარეითად ადამიანთა შორის ბედნიერება არ არის!... მხოლოდ მე ძალ-მიძს მივმადლო შენს შვილს ის ძალა, რომლის მეოხებით მას, თუ გინდა გონებითა და სხეულით მწირიც იყოს, შეეძლება თავისაკენ მიიმხროს ცისა და ქვეყნის შვენებანი!... მას ექმნება ფუფუნებითა ცხოვრება და ყოველი მისი წადილი სხვა მისთანებისათვის კანონად გახდება. არ არის ისეთი ლხენა და კმაყოფილება, რომლისადმი მას ხელი არ მიუწვდებოდეს!... თვით კდემა-მოსილი ქალწული, სატრფოსადმი გრძნობით აღვსილი, იმ ძალის გავლენით, თვისს გულისთქმას უღალატებს და შენის შვილის წინაშე ქედს მოიხრის!... მას საზრუნავი არა ექნება-რა და თვით ისინი, ვისაც წილად ჰხდომიათ მზისა და მთვარის სიყვარული, ეცდებიან ამ სიყვარულის ვარდ-ყვავილი მხოლოდ მიტომ მოჰკრიფონ, რომ შენს შვილს ფიანდაზად ფეხ-ქვეშ გაუშალონ! აჰა, თუ გინდა, რომ ყველა ეს შენს შვილს ჰხვედროდეს, მოვედ ჩემთან და მე ვცხებ მას ნათელსა“.

ამ სიტყვების წარმომთქმელი ეტლში მდგარი ჭაბუკი კვლავ ბალიშებზედ მიესვენა და თავ-მოწონებით თვალები გაუშტერა მთვარეს, რომელიც მის სამოსელს ცეცხლს უკიდებდა.

მარიამი მთლად აიტაცა ამ სიტყვებმა და შვილის მომავალმა ბედნიერებამ ისე მოჰხიბლა, რომ მზად იყო, ფერიათა მეფისათვის ეღალატნა, მაგრამ აღარ დასცალდა თავისს გრძნობის გამომჟღავნება, რადგანაც მოესმა კვლავ უცნობი ხმა:

— შვილისათვის თავ-დადებულო დედავ! ვგრძნობ, რომ ისეთს ვერას გეტყვი, რამაც აწ უკვე აღთქმულს ქიშპობა გაუწიოს...მე არ ძალ-მიძს მოვფინო შენს შვილს ის ხორციელი მშვენიერება, რაც მას მეფედ გარდააქცევს ადამიანთა და ბუნების კიდეთა შორის. მე ვერ დაგპირდები, რომ შენს შვილს მიენიჭება ის ბედნიერება, რომელიც ადამიანთა სურვილებით არის განსაზღვრული, მას ვერ მივცემ ფუფუნებით და უზრუნველ ცხოვრებასა...არა, მე ეს არ მომემადლება. მე მხოლოდ გულში ჩავბერავ ისეთ ნაზს გრძნობას და გონების სალაროს ისე მოვუწყობ, რომ მათ მიერ განათებული მისი არსება ისე ჰხედავდეს ბუნების საიდუმლოებათა, როგორადაც თვალ-ხილული ადამიანი დღისა და ღამის მოახლოვებას ჰხედავს. არც ერთი მიმოხვრა ადამიანთა გულისა მას არ გამოეპარება, იმის მისნობისათვის ყოველგვარი სულიერი ვითარება ხელის გულივით გადაშლილი იქნება. პირუტყვთა შემოხედვაში, როგორადაც გახსნილ წიგნებში, ისე ამოიკითხავს მათ გრძნობას... ბალახთა ბიბინი მისთვის ენა იქმნება, რომელიც მჭევრ-მეტყველად მოუთხრობს მცენარეთა ლხენა-ვაებასა. მისი გრძნეული ალღო ყველაფრის გამოცნობისა იქ შეჰნიშნავს მშვენიერება-სისაძაგლეს, სადაც ადამიანის გრძნობა მისაწდომად უძლურია. მზესა და მთვარეს იგი-კი არ მოჰხიბლავს,—თვით მოიხიბლება მათის სიტურფით და ცხოველ-მყოფელობით... ყველა ეს ნაგრძნობი-კი იმის არსებაში ისე აღიბეჭდება, როგორადაც ფირუზოვან ცის თაღზედ—წყვდიადის მოტრფიალე ვარსკვლავთა კრება... და, როდესაც ამა ნადულით მისი გრძნობა-გონების ფიალა პირთამდის აივსება,—მაშინ ბაგენი მისნი გადმოარხევენ სიტყვათა კონას, ცრემლითა და ნეტარებით ნაწრთობს, რომელშიაც ღვთაებრივობა ამოიკითხვის... მაგრამ ნუ იფიქრებ, რომ ამ ღვთიურის ნიჭით ნათელ-მოსილი იგი მუდმივ სიტკბოებასა ჰგრძნობდეს?!. მისი სულიერი თვითება ქნარის მზგავსი რამ იქნება... როგორადაც ქნარის სიმთა-ჟღერაა მრავალ-ხმოვანი, იმის დაკვალად, თუ რა ხმას გამოაღებინებ, ნეტარსა თუ სავალალოს, აგრეთვე შენი შვილიც იმის მიხედვით მოჰმართავს თავის გულის ჩანგს, თუ რა მოვლენა ჩამოჰკრავს სიმებზედ ხელს!.. სხვის მწუხარებასა და ლხენას მისი გული თანასწორის ძლიერებით ამოსძახებს სანუგეშო სიტყვას!.. ნესტარი და ნელ-საცხებელი მას მუდამ ხელში ეჭირება, რომ პირველით მოჰკვეთოს ღვარძლიანობა და მეორეთი წყლული დაამოს... და ამ დოსტაქრობის დროს ისე ხშირად არავინ იგრძნობს ტკივილს, როგორათაც თითონ ის, რადგანაც სხვის ტანჯვას იგი საკუთარის გულით ატარებს!..

სამაგიეროდ იგი ჰპოვებს მას, რასაც ადამიანის ენით „სასუფეველი“ ეთქმის... ეს სასუფეველი-კი ის ხელთ-უქმნელი ძეგლი იქმნება, რომელიც შენს შვილს ყველა ადამიანის გულში დაედგმის სამარადისოდ, საუკუნეთაგან საუკუნეში გარდასაცემად!..

ი. ელეფთერიძე.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტროზავოდსკი. სასწავლებლები ემზადებიან გოგოლის იუბილეს სადღესასწაულოდ. აზრადა აქვთ ერთ სკოლას „გოგოლის სასწავლებელი“ უწოდონ.

ვარშავა. დამტკიცებულ იქმნა პროექტი საფოსტო კანტორის ახალის შენობისა. შენობა 500,000 მანეთად დაჯდება.

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა მეცადინეობით სდგება ამხანაგობა სამიწათმოქმედო მანქანებისა და იარაღების ქარხნის დასაარსებლად.

სემიპალატინსკი. სახალხო განათლებისათვის მზრუნველმა საზოგადოებამ დაადგინა დააარსოს გოგოლის ხსოვნის პატივსაცემლად უფასო სახალხო სამკითხველო.

ბერლინი. იმ კომისიის წევრთა უმრავლესობამ, რომელსაც საბაჟო გარდასახადების პროექტი აქვს გადაცემული განსახილველად, წინადადება შეიტანა, რომელშიაც თხოულობს უფრო მეტს გარდასახადს პურზედ, ვიდრე კანონ-პროექტშია. სტატს-სეკრეტარი პოსადოვსკი აცხადებს, რომ მთავრობა არასოდეს არ დაეთანხმება ამასაო.

ლიბავა. ხმოსნად არჩეულია 27 გერმანელი, 5 რუსი, 5 პოლონელი და 10 ლიტველი. ხელ-ახლა რვა კაცი უნდა აირჩეს.

ბელგრადი. აქ მოვიდა ჩერნოგორიის მინისტრი ვუკოვიჩი.

იალტა. მშვენიერ დღეების შემდეგ, სიცივეები დადგა. დიდი თოვლი მოდის. ზღვა ღელავს.

პეტერბურგი. ბუნების-მეტყველთა და მკურნალთა პირველ კრების სახსოვრად პეტერბურგის უნივერსიტეტმა მიუსაჯა 5 ოქროს მედალი, 4 ვერცხლისა და ერთი პრემია. უნივერსიტეტის საპატიო წევრებად არჩეულ იქმნენ სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ნიკიტინი, საგეოგრაფო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი სემენოვი, მოსკოველი პროფესორი ცვეტაევი და რუდოლფ ვირხოვი. უნივერსიტეტში 3,708 სტუდენტია და 67 გარეშე ყურის-მგდებელი.

პეტერბურგის წარმომადგენლებად მეთევზეობის კონგრესზედ არჩეულ იქმნენ ხმოსანნი კედრინი და მედვედევი.

7 თებერვალს ქართველთა დეპუტაცია წარუდგა დიდს მთავარს ვლადიმერ ალექსანდრეს ძეს და იმისს უავგუსტოესს მეუღლეს.

ასტრახანი. როგორც „პრიკასპიის გაზეთს“ გურიევიდგან დეპეშით ატყობინებენ, ის 14 კაცი, რომელნიც ყინულმა ზღვაში შეიტანა, გადარჩენილ თურმე იქმნენ. ყინულმა ხელ-ახლა შეიტანა ზღვაში 158 კაცი.

8 თებერვალი.

პეტერბურგი. გამოქვეყნებულია უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რათა დადგენილ იქმნას სრული ერთიანობა სამსახურის ვითარების წეს-წყობილებასა და საჯარის-კაცოდ კენჭის ამოღებათა და პირველ ხარისხოვან მონადირეთა მომზადების საქმეში იმავე ხარისხის „ვოლნოოპრედელიაიუშჩებთან“ შედარებით.

კიევი. გაზაფხულზედ შეუდგებიან რკინის გზის კიევის სადგურის გაფართოვებას. პირველ სამუშაოებისათვის გადადებულ იქმნა 800,000 მანეთი. დროებით ხის სადგურს აკეთებენ. ახალის ქვიტკირის სადგურის აგებას 1904 წელს შეუდგებიან და 1906 წელს დაამთავრებენ. ახალი სადგური უდიდესი იქმნება მთელს რუსეთში. დაჯდება იგი სადგური 4 მილიონი მანეთი.

მოსკოვი. უავგუსტოესი გენერალ-გუბერნატორი ბუხარის ემირთან იყო. ისადილა ემირმა გენერალ-გუბერნატორის სასახლეში. დღის განმავლობაში ემირი სხვა-და-სხვა წარჩინებულ კაცთან იყო სადარბაზოდ. ემირი ხვალინდელ კონცერტზედაა მიწვეული გენერალ-გუბერნატორის სახლში.

ირბიტი. ბეწვეული კარგ ფასში გადის.

რომი. პარლამენტი გაიხსნა. სეფე-სიტყვაში მოხსენებულია საშინაო საქმეები და ნათქვამია, რომ სხვა სახელმწიფოებთან კარგი ურთი-ერთობა გვაქვსო. იტალიის ინტერესების დაცვა და კავშირების ერთგულება არ ეწინააღმდეგება მშვიდობიანობას, რომლისთვისაც ზრუნვა იტალიის მთავარ მიზანს შეადგენსო.

პეტერბურგის ბირჟა, 4 თებერვალი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,95
ბერლინში მარკაში 100	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,60
ბერლინში „	46,30
არიჟში „	$37{,}62^{1}/_{2}$
ბირჟის დისკონტი	5—7%

4% სახელმწიფო რენტა	$96^{1}/_{8}$ გაყიდ.
$4^{1}/_{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$94^{1}/_{2}$ გაყიდ.
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$472^{1}/_{2}$ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$379^{1}/_{2}$ მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	287 გაყიდ. (?)
$4^{1}/_{2}$% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა	
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	$88^{3}/_{4}$ წვ. გაყ.
$4^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	$89^{1}/_{4}$ გაყ.
$4^{1}/_{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. აქციები	9,800 წვ. გაყ.
„ კასპიის ამხანაგობისა	
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	165 წვ. გაყ.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს. ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით).

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 54 წ. (8 ს. 52 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

ტფილისიდან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამო 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.)

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58—59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. 11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ) (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ოთხშაბათობით ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს 39 წ.) ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს). ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.) ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66 ღამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს., 10 წ. ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 47 წ. [7 ს. 45 წ.).

განცხადება

სომეხთა ნერსესიან სასულიერო სემინარიის სამზრუნველო საბჭოში

ამა წლის 13 თებერვალს, საღამოს 8 საათზედ, მოხდება მესამედ **საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ოთხის წლის ვადით 1902 წლის 13 თებერვლიდგან დაწყებული ქალაქის მერვე ნაწილს, რიყეზედ არსებული სემინარიის საკუთარი შენობა ტრაქტირისათვის ბაკითურთ.

პირობების გასინჯვა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე, კვირა უქმეებს გარდა, 10-დგან 1 საათამდე.

(2—284—1)

ტყის უფროსის თანაშემწე

(Пом. Лѣснич.) რომელსაც, სპეციალურ ცოდნის გარდა, აქვს 12 წლის პრაქტიკა ტყეებისა და მამულების მოვლა-გამგეობისა და აგრეთვე მისი მეუღლე, გიმნაზია-დამთავრებული მასწავლებელი ქალი, ეძებენ შესაფერს ადგილს კერძო მემამულეებთან ადგილობრივ ან პროვინციაში. ადრესი „ივერიის“ რედაქცია.

(3—288—2).

განცხადება.

15 თებერვალს, დღის 12 საათზედ, ს. ასკანაში, ასკანის სკოლის დარბაზში დანიშნულია **საზოგადო წლიური კრება** ასკანის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წევრთა. განსახილველია შემდეგი კითხვები:

1. განხილვა და დამტკიცება 1901 წლის ანგარიშისა, 2. ახალ წევრთა მიღება, 3. არჩევა მუდმივ მზრუნველისა, 4. არჩევა სამის გამგეობის წევრისა და ორის მათის კანდიდატისა, 5. არჩევა ექვსის საბჭოს წევრისა და სამის მათის კანდიდატისა, 6. სესხის აღება სახელმწიფო ბანკისაგან.—

(3—6.—2).

მკურნალი

ნ. ტ. მულინი.

იღებს ყურითა, ყელითა და ცხვირით ავადმყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღეეის 1—3 საათამდე და საღამოს 4—8-მდე. სუდებნი 18. (წლ.)

GRAND PRIX

PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К°.

Парфюмерія

Рояль

РАЛЛЕ.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი	15 კ.
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა	15 „
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	5 „
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	30 „
აბო ტფილელი, ე. კ.	30 „
Або Тифлисскій, Е. К.	5 „
ამბავი მადლის ქვისა	5 „
აკიდო საუმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ.	15 „
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი	1 მ. 50 „
ბერანე, თარგ. გ. გვაზავასი	40 „
ბენია	10 „
ბუნების სოფარი მოვლენანი, ს. ჯუღელისა	15 „
ბაში-აჩუკი, აკაკისა	30 „
ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილისა	1 მ. 30 „
გლეხი კაცის ისტორია, III—IV ტ.	1 მ. 20 „
გამზრდელი, აკაკისა	5 „
აგსართობი	10 „
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა	15 „
გუსტავ ვაზა	5 „
Грузинскій отрывокъ Калилы и димны, А. Хахановъ	60 „
გიორგი და მიხეილი	10 „
Древный Анчсхатскій соборъ Карбеловъ	20 „
დედა, ანდერსენისა	8 „
ამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი	1 მ. „
დაუჯდომელი წმ. ნინოსი	20 „
Двѣ святины въ Кахетіи, Е. К.	10 „
Давидъ Гареджели, Е. К.	15 „
ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა	15 „
ელენე, მოთხრობა	5 „
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвли	40 „
Въ Барсовой кожѣ, Мкинвари,	1 р. „
ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ლისა.	3 „
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К.	30 „
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი	1 მ.
თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძისა	40 „
თამარ-დედოფლის სამკაული	10 „
თამარ ლაზნელი, ან. ფურცელაძისა	50 „
ისტორია ქართულ სტამბისა	15 „
იანიხარი, დ. ნახუცრიშვილისა	40 „
კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I-II ნაწ. ქუთათელაძისა	60 „
კოპერნიკიდან დარვინამდე	10 „
კანდელი, მ. ლელაშვილისა	15 „

ქართულის წერის რვეულები

ახლად დაიბეჭდა მშვენიერს ქაღალდზე და ისყიდება «წერა-კითხვის საზოგადოების» მაღაზიაში ყველა ნომრის ქართული წერის რვეულები; მეორე, მესამე და მეოთხე ნომერი—ოთხ თაბახიანები—გამოსადეგია რუსულის წერისათვისაც. ფასი თითო რვეულისა ოთხი კაპეიკი. ხოლო ვინც ასობით იყიდის, რვეული დაეთმობა 3 ნახევრად.

(3—6.—2)

ფაბრიკის ნიშანი

გაფრთხილება

თამბაქოს ფაბრიკისაგან **ნ. ი. ბოზარჯიანცი-სა** შვილებითურთ ტფილისში. ამ ბოლო ხანს გამოვიდა გასასყიდათ ისეთი

პაპიროსები,

ფაბრიკის ნიშანი

რომლებიც გარეგანი შეხედულობით ძრიელ წააგავს ჩვენის ფირმისას, აწყვია ისეთივე ზომის კოლოფებში, ისეთივე ზედ-წარწერით ანუ შრიფტით და იგივე ფერის იარლიკით, რომელიც დიდი ხანია შემოღებული აქვს ჩვენს ფირმას და დიდათ გავრცელებული არის.

ყოველივე შეცდომის ასაშორებლად,

ჩვენ საჭიროდ ვსცანით და დავადგინეთ ჩვენსავე ეტიკეტზედ განსაკუთრებითი ნიშანი. რომელიც ნება-დართულია უმაღლესი მთავრობისაგან; **და ვინც ჩვენის ფაბრიკის მსგავსს ნიშანს გამოსცემს, ისინი დაისჯებიან კანონის ძალით.** ვსთხოვ ჩვენის ფირმის პაპიროსების მხმარებელთ, განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და ზედ წარწერას

Н. И. БОЗАРДЖІАНЦЪ С-ми.

(10—282—1)

ყოვლად საყურადღებო განცხადება

ახლად გაღებულ მ. ა. ქანდაროვისაგან მექანიკურ-ორთქლით პურის-საცხობში (რომელიც იმყოფება მე-10 ნაწ., ელისაბედის და ბატარეის ქუჩების კუთხეში) შეიძლება დაკვეთა **კარგად გამომცხვარ** ყოველგვარ ღირსების პურისა, მხოლოდ არა ნაკლებ ნახევარ ფუთისა, **ფასად ქალაქის ნიხრზედ ერთ აბაზ ნაკლებ ფუთი:** პირველ ხარისხისა 1 მან. და 40 კაპ.; მეორე—1 მან. 20 კაპ.; მესამე—1 მან.; პეკლევანისა (ანუ ყუათიანი) და არქანოვისა—90 კაპ.

(5—272—3)

САРАТОВСКІЯ САРПИНКИ

НА ЛѢТО 1902 ГОДА

Легкая, изящная ткань для платьевъ и бѣлья

265 образцовъ въ альбомѣ

ВЫСЫЛАЮТСЯ БЕЗПЛАТНО

Торговый домъ

АНДРЕЙ БЕНДЕРЪ И СЫНОВЬЯ

Москва, Ильинка.

Продажа оптомъ и въ розницу.

4378 (3—2).

კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების სადგურში იყიდება

ორი წლის ნამყენი ხეხილი

ვაშლი, მსხალი, ბალი, ატამი და ქლიავი საუკეთესო ჯიშისანი, ჰაჯი-ისმაილოღლის სანერგედგან.

(3—6.—1).

ПАРОВАЯ РИСООЧИСТИТЕЛЬНАЯ МЕЛЬНИЦА

„ВОСТОКЪ“ въ Баку

Принимаетъ заказы на рисъ всѣхъ сортовъ. Преисъ-куранты и образцы высылаются безплатно.

(10—261—10)



როიალები



პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გარდახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საგნებისა

ბ. მ. მირიმანიანისა.

музыкальное депо

М. МИРИМАНЯНА

Тифлисъ. Дворцовая ул.

25—6—35

Дозвол. цензурою. Тифлисъ 8-го Февраля 1902 г. გაზეთ „ტფილისის ფურცლისა“ და ექვ. ხელაძის სტამბა ლორ.-მელ. ქუჩა. დროებითი რედაქტორი **ა. სარაჯიშვილი** გამომცემელი **ჭავჭავაძე**